№ 54 1877—1898 № 54

ხუთშაბათი, 12 მარტი, 1898 წ.

# ივერია

ხუთშაბათი, 12 მარტი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ივერია“

გამოვა 1898 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და
ბაქოში, ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

**თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,**

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 12 აპრილამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.
ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

(15—6.—3)

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში
**მ. ბარკალაიას მიერ გამოცემული**
ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი

**სამღრთო გამოცანები**

(ზმაკიდურები ჩვენს მოღვაწეებზედ)
**თ. ნ. ტ. დადიანისა**

წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ჰღირს სამი შაური. ვინც ასს წიგნს ერთად იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, მანათზე აბაზი დაეთმობა. (—220—9)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. პუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ: სამსახურის წელთა შესრულების გამო კოლეჟსკი სეკრეტრობა ზანგეზურის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს, ზანგეზურის საგამოძიებლო ნაწილის გამგეს კანდელაკს; განჯის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელეს ავალიშვილს.

გამწესებულ იქმნენ: ზაქარია საყვარელიძე—ონის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელედ, ქსენეფონტე გაჩეჩილაძე—ყვირილის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელედ, მღვდლის შვილი ვიქტორ სუხიაშვილი—სახელმწიფო პალატის კანცელარიის მოხელედ, ზაქარია მაჭავარიანი—თემირ-ხან-შურის ქალაქის პოლიციის მოხელედ.

## ახალი ამბავი

—

⁂ მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა მოსკოვისა და კოლომენის მიტროპოლიტი ვლადიმირი შაბათს, 14 მარტს, სწირავს კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში და წირვის შემდეგ პანაშვიდს გარდიხდის ყოველ მიცვალებულ მართლმადიდებელ ქრისტიანის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9½ საათზედ.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭომ განიხილა და მოიწონა პროექტი მთავარ-მართებლის კანცელარიასთან სატეხნიკო განყოფილების დაარსების შესახებ. ამ სატეხნიკო განყოფილებამ უნდა განაგოს კავკასიის საერობო ყველა ის საქმე, რომელიც სხვა და სხვა შენობის აგებას შეეხება.

⁂ თუმცა სამოსწავლო უწყებამ განკარგულება მოახდინა, რომ გიმნაზიების მოსწავლეთ ნება არა აქვთ თეატრში წარმოდგენების დროს ქანდარის ბილეთები აიღონ და იქ იარონო, მაგრამ ეს განკარგულება დღემდის არა სრულდებოდა უნაკლულოდ. ამ ჟამად ტფილისის პოლიცმეისტერმა ამ განკარგულების სისრულეში მოსაყვანად ბრძანება დაუგზავნა პოლიციის მოხელეთ, რომ სასტიკად ადევნონ თვალ-ყური გიმნაზიის მოსწავლეებს, რომ ქანდარაში არ იარონ და თუ ვისმეს შეჰნიშნავთ, მაშინვე ჩაიწერეთ იმათი სახელი და გვარი, სასწავლებლის სახელწოდება, რომელშიაც სწავლობენ და თეატრიდგან დაითხოვეთ ხოლმეო.

⁂ ამ ჟამად მთავრობა ცნობებსა ჰკრეფავს იმ ბეგარის შესახებ, რომელსაც ამიერ-კავკასიის მცხოვრებელნი სწევენ კავკასიის მდინარეთა საქმის განსაკარგებლად. როგორც ისმის, ამ ცნობებს იმიტომ ჰკრებავენ, რომ გამოარკვიონ, რამდენი იხარჯება ამ საქმეზედ, რადგანაც აზრადა აქვთ ეს ხარჯი ამიერ-კავკასიის საეროზო ფულიდგან გაისტუმრონ ხოლმე.

⁂ ტფილისში, მდ. მტკვრის ნაპირზედ დაარსდა სახამებლის მკეთებელი ქარხანა. ამ ქარხანაში სახამებელს პურისა და სიმინდისაგან მოამზადებენ.

⁂ საქონლის ჭირი თითქმის სრულიად მოისპო გორისა, თელავისა, დუშეთისა, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. პირველ მარტიდგან რვამდე ხსენებულ მაზრებში არც ერთს საქონელს აღარ შეჰყრია ჭირიო.

⁂ ერევნის ოლქის სასამართლოს წევრი ბ-ნი როჟდესტვენსკი ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად იქმნა გადმოყვანილი.

⁂ ტფილისის მეპურეთა საზოგადოებამ ხელ-ახლად შეიტანა საჩივარი თავიანთ ამქრის მამასახლისის უკანონოდ არჩევის შესახებ.

⁂ შინაგან საქმეთა მანისტრმა წინადადება შეიტანა სახელმწიფო საბჭოში იმის შესახებ, რა თანხით უნდა დაეხმარნენ ხაზინას პოლიციის მოხელეთა შესანახად ამიერ-კავკასიის ქალაქები. ამ წინადადებით 1898 წ. 1 იანვრიდგან 5 წლით განთავისუფლებულ იქმნება ხარჯისაგან ქ. ახალციხე, გორი, ახალ-ქალაქი და დუშეთი. ლენქორანს გამოერთმევა 1,170 მან., შემახას—3,680 მან., სალიანს—1,100 მან., ნუხას—2,640 მან., შუშას—2.640 მან., სიღნაღსა, ორდუბათსა და თელავს თითოს 200 მან. და არ გამოერთმევა ქ. ახალციხესა და დუშეთს ის გარდასახადი, რომელიც ამ ქალაქებს ვალად დაედოთ 1897 წ. 1 იანვრიდკან.

⁂ ამ ჟამად სასჯულო საქმეთა სამინისტრომ დაამთავრა იმ პროექტის შემუშავება, რომლის ძალითაც ამიერ-კავკასიაში მყოფ გამომძიებელთ გზის ხარჯად იმაზედ მეტი ფული უნდა მიეცეთ, ვიდრე დღემდის ეძლეოდათ. ეს პროექტი ამ ახლო მომავალში წარედგინება სახელმწიფო საბჭოს მისდა განსახილველად.

⁂ როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა საქარის ამერიკულ ვაზის სანერგესთან ამ ვაზის მყნობის და მოვლა-მოშენების კურსები დაარსდა. წელს, გაზ. „კავკასის“ სიტყვით, 50 კაცმა განაცხადა სურვილი ამ კურსებზედ შესვლისა, ხოლო გამოცდის შემდეგ პრაქტიკანტებათ მიღებულ იქმნა 20 კაცი, მათ შორის 9 თავად-აზნაური, ერთი სასულიერო წოდებისა და 10 გლეხ-კაცი. ლექციების კითხვა და პრაქტიკული მუშაობა 9 მარტს ლაიწყება.

⁂ გაზ. „კავკასი“ სწერს, რომ კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნული გენერალ-მაიორი მაკედონსკი ტფილისში მაისს ჩამოვაო.

⁂ აგრონომის ტარატინოვის მიერ იმიერ-კასპიის მხრიდგან გამოწერილ ბამბის თესლს, გაზ. „კავკასის“ სიტყვით, 15 მარტს ჩამოიტანენ ჩვენს ქვეყანაში. სხვათა შორის ბამბის თესლის საწყობი ქუთაისშიაც იქმნება გამართული ბ-ნ გიორგი ჯაფარიძესთან. ფუთი თესლი 70 კაპ. გაიყიდება. ვისაც 30 ფუთზე მეტი სურს იყიდოს, იმან აგრონ. ტარატინოვის ნება-რთვა უნდა აიღოს.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ სტავროპოლის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლად ნამყოფი ზისსერმანი დანიშნულ იქმნა ტფილისის ოლქის სასამართლოს საპატიო მოსამართლედ და მთათა ინჟინერი ჩენგერი კავკასიის სამთო გამგეობის უფროსის თანაშემწედ.

⁂ იმავე გაზეთს სწერენ ერევნიდგან, რომ იქ დაარსებულ იქმნა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების განყოფილებაო.

⁂ ამას წინად ვწერდით, რომ 7 მარტს, იაგორ მაისურაძეს ვიღაც ბოროტ-გამზრახველებმა მოჰპარეს 1220 მანეთის ოქროსა და ბრილიანტის ნივთებიო. ამ ნივთების ქურდები, როგორც პოლიციას გამოუკვლევია, აღმოჩნდნენ ალექსანდრე ბურმენიძე და ტფილისის მცხოვრებელნი მარკოზოვი და ეგოროვი.

⁂ 10 მარტს, ტფილისის მცხოვრებელმა სიმონ ხარაზოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ სამი დღის წინად ჩემის ტრაქტირიდგან, რომელიც დამოჟნის მახლობლად აკოფოვის სახლში მაქვს, ვიღაც ბოროტ-გამზრახველეშმა მოიპარეს სხვა-და-სხვა ნივთები სულ 500 მანეთისა. ხარაზოვი ბრალსა სდებდა თავისსავე მზარეულს გიორგობიანს. გამოძიებამ გამოარკვია, რომ მართლაც გიორგობიანის მონაწილეობით მოუპარავთ ნივთები; ამასთან ზოგიერთი ნივთი და პალტო იპოვნეს კაცია მელაძესთან, რომელიც ქურდობისთვის უკვე ორჯელ იყო მიცემული სამართალში. მელაძესა და გიორგობიანს გარდა ხარაზოვის ნივთების მოპარვაში მონაწილეობა მიუღია გიორგი ლეჟავას.

## ისევ სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობის შესახებ

აქლემები წაიკიდნენ,
კოზაკი შუა გასრისეს.

საერო სკოლების დაარსებიდგანვე ტფილისის გუბერნიაში მთავრობის დაპირებისამებრ ყოველი საჭირო ნივთები სწავლისათვის უსასყიდლოდ ეძლეოდა ყოველ სოფლის სკოლას, ვგონებ, იმ ფულიდგან, რომელსაც სასკოლო „დახმარებას“ უწოდებენ. ეს იყო დახმარება ხელ-მოკლე სოფლის ხალხისა შვილების აღზრდაში, მაგრამ ამ გვარმა დახმარებამ, სამწუხაროდ, ეს სამი-ოთხი წელიწადია ჩაილულის წყალი დალია. სკოლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონ საზოგადოებათ გამოეცხადათ, რომ სასწავლო ნივთების ფულის გარდახდა საზოგადოებამ იკისრეთო, მაგრამ ამათ, ისედაც გულდაწყვეტილთ სოფლის სკოლაზედ, რადგან მან სოფლელთათვის სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა, იმათი მოლოდინი და იმედი ვერ გაამართლა,—ამ წინადადებაზედ ცივი უარი განაცხადეს და გადასწყვიტეს სასწავლო ნივთებისათვის ბავშვების მშობელთ ეზრუნათ, ე. ი. თვითოეული ბავშვის პატრონს საკუთარის ხარჯით მოეპოვებინა სასწავლო ნივთები თავის შვილისათვის, თუ რომ სკოლაში შეიყვანდა. მაგრამ ჩვენის სოფლელის ეხლანდელ განვითარებას სკოლის მნიშვნელობის შეგნების მხრივ და ჯიბის მდგომარეობას რომ დავაკვირდეთ, მალე შევიგნებთ, რომ თუ მას ასე თუ ისე ხელი არ გაუმართეთ, არ მოვეფერეთ: ბავშვი სკოლაში მიიყვანეო, იგი თავისათვის არაფერსაც არ იზრუნებს და ამასაც-კი იტყვის: რაც მე მისწავლია, ის ჩემმა შვილმა უნდა ისწავლოსო!.. ჯერ აქამდის ერთის მანათის გამოღება ეძნელებოდა სკოლის ხარჯად და ახლა ამას რომ მეორე და მესამე მანეთი სასწავლო ნივთებისა მიჰმატებოდა, ეს ხომ სულ ერთიანად დააფთხობდა, თითონაც აღარ გაუვლიდა სკოლას ახლო, თორემ შვილს ხომ არ გაატარებდა და არა, მით უმეტეს, თუ საჭირო ნივთებისათვის შორს სადმე დასჭირდებოდა სიარული! ამის შემდეგ ის მოხდებოდა, რომ სოფლის სკოლები დაცალიერდებოდა.

ეს მოსალოდნელი გარემოება აუხსნეს მასწავლებლებმა უფროსთ. იმათაც, ერთბაშად-კი არ აჰკრძალეს სასწავლო ნივთების უსასყიდლოდ დარიგება, არამედ მასწავლებელთ დაავალეს: სახლებში ნურაფერ სახელმძღვანელოს ნუღარ გაატანთ, მხოლოდ კლასში ახმარეთ საჭირო ნივთებიო, მსურველებს მიჰყიდეთ კიდეცაო. ამას აი რა მოჰყვა: თუმც ხარჯი სასწავლო ნივთებისა ერთი ორად შემცირდა, რადგან წიგნებს ყოველწლივ გამოწერა აღარა სჭირდებოდა, მაგრამ წვრილმანი ნივთები როგორიც რვეული, კარანდაში, მელანი და სხვებია, უფასოდ მიდიოდა; წიგნები ბავშვებისაგან ისრისებოდა, ძველდებოდა და წიგნთ-საცავში რჩებოდა, მყიდველი კი ცოტა ჩნდებოდა,—ამ გვარად, სასწავლო ნივთებში გარდახდილი ფული უკან ,მცირე ოდნად-ღა ჰბრუნდებოდა...

ფშაველიშვილი

## წერილი თელავიდგან.

ერთი საკვირველი წესი ჰსუფევს თელავის სამმართველოში, რომელიც ბევრ სხვა წესთა შორის, სამაგალითოა! ვსთქვათ, რომელსამე სოფელში გაჩნდა გადამდები ავადმყოფობა, გაძლიერდა და ველარ მოისპო. სოფლელები ამ შემთხვევაში აცნობებენ მაზრის უფროსს და სთხოვენ დაუყოვნებლივ გამოუგზავნონ საშველად მკურნალი. მაზრის სამმართველო ვიდრე შეატყობინებდეს მკურნალს და სთხოვდეს წასვლას იმ სოფელში, აცნობებს ამ ამბავს ბოქაულს, რათა მან გამოიძიოს, მართლა არის გადასადები ავადმყოფობა თუ არა.

მაგალითები: სოფ. შალაურში გაჩნდა ავადმყოფობა და ვეღარ მოისპო. სოფელმა აცნობა მაზრის უფროსს; მაზრის უფროსმა გამოუგზავნა ეს ქაღალდი ბოქაულს გამოსაძიებლად. ვიდრე ეს გამოძიება გათავდება, ავადმყოფი ან მორჩება, ან მოკვდება, ან სხვებსაც გადაედებათ სენი. სოფ. კონდოლში გაჩნდა სენი ერთს მოსწავლის ოჯახში. გამხდარიყო ავად ჯერ დედა, მერე შვილი, ამათ ეხადათ; შემდეგ გამხდარიყო ავად მესამე ქალი. თითქმის ორი კვირა ყოფილიყო ავად და მხოლოდ მაშინ გვაცნობეს ჩვენ, როდესაც საქმე გაუჭირდათ. წავედით, გავსინჯეთ ავადმყოფი, გამოვიძ-გამოვიკვლიეთ და ვაცნობეთ მაზრის უფროსს, რათა დაუყოვნებლივ გამოეგზავნა მკურნალი. ეს ჩვენი ცნობები მოსვლია უკან ბოქაულს, რომელიც ჩამოვიდა ავადმყოფობის გამოსაკვლევად.

ბოქაული რომ დავინახეთ თავისის მწერალ-ჩაფრებით და გავიგეთ მიზეზი მისის ჩამოსვლისა, გვეოცა: ის რომელი მკურნალია, რა უნდა გაიგოს, ან გამოიკვლიოს და რა უნდა უშველოს ხალხს? ჩვენ ვისა ვთხოვთ, ისინი ვის გვიგზავნიან!

ამისთანა წესს ის შედეგი მოჰყვა, რომ ვიდრე ბოქაული ჩამოვიდოდა, ავადმყოფი იმის წინა ღამეს გათავდა, ისიც უზიარებლივ. რა წამსაც ჩვენი წერილი მივიდა მაზრის სამმართველობაში, მაშინვე რომ ექიმისთვის ეცნობებინათ, ავადმყოფს იქნება ჰშველებოდა რამე და არც ბოქაული შესწუხდებოდა თავისი ამალით ტყუილად, რომელსაც იმდენივე ესმის სამკურნალო მეცნიერებისა, რამდენიც ჩვენ.

ეს ნაკლი რომ ავიცდინოთ, მაზრის უფროსმა პირველ ცნობისათანავე უნდა შეატყობინოს ექიმს და გაჰგზავნოს იგი, სადაც სთხოვენ.

ჩვენ იმასა ვფიქრობთ, რომ მაზრის უფროსი იმიტომ ჰმოქმედობს ასე, რომ ჰფიქრობს, იქნება გადამდები არ იყოს და ექიმი ტყუილად რად შევაწუხოვო. მაგრამ ჩვენ კიდევ ამას ვიტყვით, რომ ვინ გაიგებს, ექიმის გარდა, გადამდებია სენი, თუ არა? თუნდაც გადამდები არ იყოს, თუ სენი ისე გაძლიერდა, რომ ვეღარ მოსპეს, თუ სოფლელებმაც იმედი გაჰბედეს, რომ ატყობინებენ ამ გარემოებას, ეს აშკარად ამტკიცებს, რომ საქმე გაჭირდა და შველა უნდა, მით უფრო, რომ ჩვენი გლეხი ისე ადვილად არ გასთქვამს და გააქვეყნებს თავისს უბედურებას, თუ უკიდურესობამდის არ მივიდა. ან რით არის არა გადამდები ფილტვების ანთება სხვა გადამდებ სენზედ ნაკლები? განა ამ შემთხვევაში-კი არ უნდა ხალხს ექიმი და შველა?

საჭიროა ეს წესი შეიცვალოს და მოთხოვნილებისათანავე ექიმი იგზავნებოდეს, როგორც წესად არის გორის მაზრაში, და არა ბოქაული სენის გამოსაძიებლად, თორემ ის გამოვა, რომ პურსა ვთხოვთ და ქვას გვაწვდიან.

გ. საყვარელიძე

## წერილი ლეჩხუმიდგან

ლეჩხუმი სძევს ქუთაისიდგან ჩრდილოეთით 20 ვერსის მანძილზედ, მდ. რიონის მარჯვნივ ნაპირზედ. შესანიშნავად ლამაზია ეს მხარე თავისის მიდამოებით და ამდენს ხანს ვერც ნიადაგს დავემდურებოდით, მაგრამ ეს სამი წელიწადი იქნება, რაც უხეირო წლებისაგან წელ-მოწყვეტილები ვართ აქაური მცხოვრებლები. ჯერ იყო და 95—96 წლ. აუარებელი ზარალი მოგვცა ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებლებსაც, რომლის შემდეგ ძნელი იყო წელში გამართვა. 1897 წლის მოსავალს არა უშავდა-რა და ვფიქრობდით, რომ წინა წლებისაგან გაღატაკებული ხალხი ცოტაც არის ამ წლით მაინც ვისარგებლებდით, მაგრამ სწორედ იმ დროს, ყოველივე ჭირნახული უნდა შეგვენახა ზამთრისთვის და ჩვენ შემოდგომათ ვიგულებდით, დაიწყო ჩვენკენ ზამთარი, რის გამო ყოველივე სანოვაგე, (მეტადრე სიმინდი და ყურძენი) შეუნახველად დაგვრჩა მინდვრად და აბა რა ხეირს დააყრიდა ასეთი ნაადრევი თოვლი. ყოველივე ჩვენი სარჩო საბადებელი მინდვრად გააფუჭა ზამთარმა, თუ მთლად არა, ორი მესამედი მაინც და დიდ ბედნიერებად ითვლებოდა ისიც, თუ ვინმემ მესამედის შენახვა მოასწრო.

საქონელისა და, ასე გასინჯეთ, ადამიანის შენახვაც-კი ძალზედ გასჭირდა, რის გამოც ვინ იცის სად არ დადის საწყალი ხალხი სამუშაოდ და ბევრი-კი ხარჯის ფულშიაც მუშაობს. საქონლის შენახვა რომ გაუჭირდათ აქაურ მცხოვრებლებს და არ იცოდნენ, რა მოეხერხებინათ, სწორედ ამ დროს იჩინეს თავი იმ წურბელა ჩარჩ-ვაჭრებმა, რომლებიც განგებ ამისთანა დროს ირჩევენ, რომ საწყალის ხალხის ნაწვავ-ნადაგი მუქთად ჩაიგდონ ხელში. ესენი უფრო ებრაელები და სომხები არიან. ამათ ისარგებლეს ხალხის გაჭირვებით და მთელის ხალხის საქონელს თითქმის მუქთად ირჩენენ.

ასე გაჭირვებით აღებულის ფულითაც სოფლის ხალხს მაინც ვერ მოუხერხებია რომელისამე დაბიდგან რაიმე სანოვაგე შემოიტანოს უგზოობის გამო. ამდენ შევიწროვებასთან ხალხი უფრო შევიწროვებულია უგზოობით, რის გამოც არ შეუძლიან რომელისამე მახლობელს დაბაში გასვლა, მეტადრე დ. ხონში, რომელსაც აქაური ხალხი უფრო ეტანება. აქ ყოველ უბრალო წამოწვიმების შემდეგაც-კი შეუძლებელი ხდება სიარული. უფრო საკვირველი ის არის, რომ ამ გზების შეკეთებისათვის არავინ არა ჰზრუნავს. ლეჩხუმის მაზრაში 32 ათასს მცხოვრებელზედ მეტი იმყოფება, რომლებსაც არაფრად გაუჭირდებათ გზის შეკეთება, მოთავე რომ ვინმე აღმოჩნდებოდეს, მაგრამ ჩვენს ადმინისტრაციას ჯერ-ჯერობით ეს აუცილებელი საჭიროება სოფლისთვის ფიქრადაც არ მოსვლია...

ა—რე წიფერხელი

# რუსეთი

სამთო დეპარტამენტს განზრახვა აქვს პროექტი შეიმუშავოს გლეხთა მამულ-დედულში აღმოჩენილ მთამადნის კერძო კაცთა მიერ წარმოება-სარგებლობის შესახებ.

— რადგან რკინის გზებზედ ხშირად ხდება ხოლმე უბედურება, ამიტომ განზრახვა აქვთ შემოიღონ სავალდებულო დაზღვევა ყოველ მგზავრისათვის. სადასაზღვევო გარდასახადი გამოერთმევათ მოგზაურთ ბილეთის აღებისათანავე.

— ამ ჟამად სამხედრო სამინისტრომ პროექტი შეიმუშავა აფიცერთა დაჯილდოვების წეს-რიგში ცვლილებათა შემოღებისა და დაუგზავნა ჯარების უფროსებს თავიანთის აზრის გამოსათქმელად. ამ პროექტით პოდპორუჩიკს პორუჩიკობის ხარისხი უნდა მიეცეს ოთხი წლის შემდეგ, შტაბს-კაპიტნისა ხუთის წლის შემდეგ და ამდენივე ხნის შემდეგ კაპიტნობა.

— ამ ჟამად ოდესაში იმყოფება გრაფის ზიჩის მეთაურობით ვენგრიიდგან ჩამოსული ექსპედიცია, რომელსაც საგნადა აქვს ვენგრიელთა შთამომავლობის გამორკვევა. ექსპედიცია იმოგზაურებს კავკასიასა, ციმბირსა და მონგოლიაში.

— ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველომ ნება დართო აგრონომს ელაგინს გამოსცეს ნახატებიანი ჟურნალი „Крестьянское Хозяйство“ იმის გარდა, რომ ამ ჟურნალს დიდი მნიშვნელობა ექმნება ყოველ წერა-კითხვის მცოდნე გლეხისათვის, ხელის მომწერელს ჟურნალთან ერთად გაეგზავნება საუკეთესო სამეურნეო მცენარეულობის თესლეულობა, სურათები, მოხაზულობანი სამეურნეო შენობებისა და პატარ-პატარა წიგნაკები სასოფლო მეურნეობის შესახებ.

— სატახტო ქალაქში მცხოვრებ მაჰმადიანთ განზრახვა აქვთ თავიანთის ხარჯით სახელოსნო სასწავლებელი დააარსონ მაჰმადიანთა შვილების აღსაზრდელად.

— აწ არსებულ წესდებით უნივერსიტეტებში საფიზიკო-სამათემატიკო ფაკულტეტზედ სწავლა-დამთავრებულნი, (საბუნების მეტყველო-საისტორიო განყოფილება) რომლებიც მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შევლენ, მოვალენი არიან ორი ზაფხული გაატარონ ინსტიტუტში. ამ ჟამად მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ინსტიტუტის საბჭოს შუამდგომლობისამებრ ნება დართო ზემოხსენებულ ახალგაზდათ პირველ ზაფხულის სამუშაოებშივე მიიღონ მონაწილეობა, ვიდრე ინსტიტუტის სტუდენტებად იქმნებიან ჩარიცხულნი. ამ გვარად ლექციების დაწყებამდის იმათ ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად შეეძლებათ პრაქტიკულად იმეცადინონ მეფუტკრეობისა, ერბო-ყველის დამზადებისა და სხვა საგნებში. პრაქტიკული მეცადინეობა უნდა იწყებოდეს ხოლმე 15 ივნისიდგან.

# უცხოეთი

**კრიტი.** ათინიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „Times“-ს: „როგორც პეტერბურგიდგან მოსულის დეპეშებიდგან სჩანს, ყველა სახელმწიფოთ თანხმობა განაცხადა, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად საბერძნეთის მეფის შვილი გიორგი იქმნას დანიშნული. იტალიის მეფემ ჰუმბერტომ და ავსტრო-უნგრეთის იმპერატორმა რუსეთის იმპერატორს საკუთარის ხელით დაწერილი წერილები გაუგზავნეს, რომელშიაც თანხმობას აცხადებენ“. გაზ. „Frankfurter Zeitung“ სწერენ კონსტანტინეპოლიდგან: რაუტის დროს, რომელიც საფრანგეთის ელჩმა გაჰმართა, რუსეთის ელჩმა რამდენსამე დიპლომატს უთხრა, რომ როგორც უკანასკნელის აუდიენციის დროს შევატყე, სულთანი ეხლა სულ სხვა თვალით უყურებს გიორგის კანდიდატურას, ვიდრე წინად უყურებდაო“.

**საფრანგეთი.** პარიჟში ამ ჟამად ბევრსა ლაპარაკობენ გერმანიის ჯაშუშის შესახებ, რომელიც ამას წინად პოლიციამ შეიპყრო. დაპატიმრებული 60 წლის კაცია, ამ ერთი თვის წინად პარიჟში ორი ოთახი დაიჭირა და ყველას ეუბნებოდა, რომ შვეიცარიელი კარო. მაგრამ როდესაც შეიპყრეს, აღმოჩნდა, რომ შვეიცარიელი-კი არა, გერმანიის ჯარის აფიცერი ყოფილა. როდესაც სახლი გაუჩხრიკეს, სხვა-და-სხვა საეჭვო ქაღალდები იპოვნეს. განი ერთს ახალგაზდა კაცთან სცხოვრობდა, რომელსაც მმისწულს ეძახდა. როდესაც ბიძა და მმისწული სახლიდგან გამოდიოდნენ, მუდამ რაღაც პაკეტი მიჰქონდათ ხოლმე. პოლიციას ეჭვი იმ პაკეტის გამო შეეპარა. ეს პაკეტი ფოტოგრაფიული მანქანა აღმოჩნდა.

**ინგლისი და იაპონია.** გაზეთებმა ხელ-ახლა დაიწყეს ლაპარაკი ინგლისისა და იაპონიის კავშირის შესახებ. გაზ. „New-Iork-Herald“-ს ტოკიოდგან კორესპონდენტი სწერს: „მე ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყე, რომ იაპონია მონაწილეობას იღებს იმ მოლაპარაკებაში, რომელიც ამ ჟამად რუსეთისა და ინგლისს შორის არის. თუმცა ინგლისსა და იაპონიას ურთიერთ შორის ფორმალური კავშირი არ დაუდვიათ, მაგრამ ისინი ერთმანეთში მორიგდნენ და ჩინეთის საქმეში თანახმად მოქმედებენ. ერთმა წარჩინებულმა იაპონელმა მითხრა, რომ იაპონია მუდამ ინგლისს დაუჭერს მხარს რუსეთის წინააღმდეგ სამოქმედოთაო“.

**ავსტრი-უნგრეთი.** ამ რამდენიმე ხნის წინად გალიციაში დიდი არეულობები მოხდა. ეს არეულობა გამოიწვია პარლამენტის წევრის შპონდერის წიგნაკმა, რომელშიაც ის ურიებს ინტრიგებსა და რაღაც სამარცხვინო საქმეებს აბრალებდა და აგრეთვე იმ ხმამ, რომ ურიები ამ წიგნაკის გამო შპონდრის მოკვლას უპირებენო. განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა ამბავმა ძალიან ააღელვა ხალხი. აუარებელი ბრბო ქუჩებში შეიყარა და ურიებს დაუწყო დევნა. საღამოზედ ბრბო ერთი ორად გამრავლდა. ხალხი ებრაელთა თორასა და სახლებს მიჰვარდა და ქვები დაუშინა. ბევრგან ფანჯრები და კარები ჩაამტვრია. ებრაელნი შიშისაგან თორაში შევიდნენ და კარები ჩაიკეტეს. ბოლოს ჟანდარმებმა და პოლიციამ, გაჰფანტეს ბრბო. მეორე დღეს ებრაელთა დეპუტაციამ საჩივარი მიართვა ოლქის უფროსს, რომელიც დაჰპირდა, რომ თუ კიდევ არეულობა მოხდა, ჯარს დავიბარებ კრაკოვიდგან და დავაწყნარებ მაამბოხეთაო.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“, № 1, 1898 წლისა.

ყველა, ცოტად თუ ბევრად განათლებული ერი, იმის განსაკუთრებულ ზრუნვაშია, რომ მომავალი თაობა კანონიერად აღზრდილ იქმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას ბავშვების სულიერ ძალ-ღონის განვითარების მიხედვით. ამ რთულ საქმეს, როგორიც არის ბავშვების აღზრდა-განათლება, ყველგან ხელს უწყობს სამი დაწესებულება—ოჯახი, სკოლა და საბავშვო მწერლობა. ოჯახის გამო რაღა უნდა მოგახსენოთ, ბევრგან ჩვენებურს ოჯახში ბავშვების აღზრდას მხოლოდ სასმელ-საჭმლის ძლევას და დროზედ გამოკვებას უწოდებენ, რომ სასმელ-საჭმელ მოკლებული ბავშვი არ დაზიანდეს ფიზიკურად,—აღზრდის სხვა ზრუნვას ჩვენ მაშინ უნდა მოველოდეთ, როდესაც ჩვენი დედები, რომელთა ხელშიაც არის უმეტეს ნაწილად ჩვენის მომავალის იმედის ბედნიერება და უბედურებაც, უფრო დაუკვირდებიან თავიანთ მოვალეობას ბავშვების აღზრდის საქმეში.

სკოლებსა და ოჯახებში ბავშვების გონიერად განვითარების საქმეში უპირველესი ადგილი საბავშვო მწერლობას უჭირავს, რომელსაც განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს ყველა ყველგან, ვისაც ძვირფასად მიაჩნია მომავალი კეთილგონივრული არსება თავისის ერისა; ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი ერის გულშემატკივარნი, ჭეშმარიტად განათლებულნი, ყველაფრის დაუზოგველად სცდილობდნენ საბავშვო მწერლობის აყვავების საქმეს ჩვენშიაც. ამ მხრივ ყველაფერი ჩვენ ხელთ არის, მხოლოდ საჭიროა ერთმანეთის დახმარება და, კერძო ინტერესების მიუხედავად, კეთილად წარმართვა საბავშვო მწერლობის საქმისა ჩვენში. სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენის ერთად-ერთის საბავშვო ჟურნალის გამგენი შეძლებისა დაგვარად, სიტყვით, თუ საქმით, არავითარს ღონისძიებას არ აკლებენ, რომ ამ ჟურნალის საქმე კეთილად წარმართონ. მაგრამ ჩვენის საზოგადოების ზოგიერთა ნაწილში თითქოს საჩივარიც ისმის ჟურნალის უვარგისობისა გამო. რამდენად მართალია ეს აზრი, ამის განხილვაში არ შევალთ ამ ჟამად, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ერთად-ერთი ჟურნალი „ჯეჯილი“, რომელიც ზოგიერთს სკოლებშიაც-კი შემოიღეს სახმარებლად, ღირსია მეტის ყურადღებისა, როგორც განათლებულების, აგრეთვე ჩვენის საზოგადოებისა და მთელის ერის მხრივ. ვფიქრობთ ამ წლიდგან გამოსულის „ჯეჯილის“ ნომრების გადასინჯვას და განხილვას. საგანი რთულია, მაგრამ ამასთან ფრიად საჭიროც. ვეცდებით სრულიად პირუთვნელად შევეხოთ ამ საგანს, რომლისათვისაც დღემდის საჭირო ყურადღება არავის მიუქცევია. იქნება ჩვენმა სუსტმა შენიშვნებმა სხვებს, უფრო დახელოვნებულებს, მადა აღუძრას და ჩვენს საბავშვო მწერლობას შესაფერი ყურადღება მიაქციონ. არც ეს იქნება ურიგო.

წინ გვიძევს პირველი ნომერი ამ წლის „ჯეჯილისა“, რომელიც სულ ათის მოთხრობისაგან შესდგება, ორი ნათარგმნია და სხვა ორიგინალური უნდა იყოს. ლექსებ შორის პირველი ადგილი უჭირავს ჩვენის ახალგაზდა საბავშვო მწერლის შიო მღვიმელის ლექსს „მერცხალს“, რომელსაც ჩვენი ბავშვები სიამოვნებით წაიკითხავენ და განისმჭვალებიან იმ გრძნობით, რა ცუდია, როცა რომელსამე ცხოველსა თუ ფრინველს აწვალებენ პატარა ცელქი ბავშვები. ეს ვრცელი ლექსი თავდება მშვენივრად და ტრაგიკულად. მცირე ნაკლულევანება ლექსისა ის არის, რომ შესაჩერებელი ნიშნები ყველგან არაა დასმული და არც ეს ტაეპი მიგვაჩნია კანონიერად:

„ორი ლამაზი მერცხალი
სიყრმითვე შემოჩვეოდენ (?)
მრავალჯერ გაფრენილიყვნენ (?)
მრავალჯერ ისევ სწვევოდენ (?)

მგონია ასე ამბობენ და სწერენ კიდეც: ორი კაცი მოვიდა, ორი მერცხალი მოფრინდა... და სხვა. ეს გრამატიკოსებისთვის მიგვინდვია.

მეორე ლექსი იგავ-არაკი „შეშის მჭრელი და მუხა“ ეზოპიდგან უთარგმნია ბ-ნს ბ. დავითაშვილს. ლექსს როგორც გარეგნობით, აგრეთვე შინაგანის აზრითაც არა უშავს რა, მხოლოდ ზნეობითი სწავლა ამ იგავ-არაკისა, რომელიც იხატება იმ ტანჯვის ორკეც აუტანლობაში, რომელსაც მოკეთე უშვრება სხვას, პატარა მკითხველისათვის სრულიად მიუწდომელია. ეს უფრო მოზრდილებისთვის არის და „ჯეჯილს“ მოზრდილებიც კითხულობენ.

ორიგინალ მოთხრობათა შორის საუკეთესოა „საახალწლო სურათი“. ჩვენი მწერალი ქალი ეკ. გაბაშვილისა მოგვითხრობს ერთის ღარიბის ხელ-მოკლე გლეხის გრიგოლა ბოტორაშვილის ამბავს, რომლის მთელი ოჯახი გაახარა სანოვაგე-ტკბილეულობით ერთმა შეძლებულმა და ღარიბთათვის გულ-შემატკივარმა კნ. თაფლომ. ამ მოთხრობაში გულკეთილობა კნეინა თაფლოსი და გრიგოლას ცოლი ნინო, რომელიც არამს არაფერს არ გაატარებს ოჯახში, კარგი მაგალითია სხვებისათვის. მთელს სტატიაში ჩვენ არ მოგვეწონა მხოლოდ ერთი ადგილი, სადაც პატივცემული მწერალი-ქალი მოგვითხრობს მედუქნის საქციელს: „ცუდს, დამპალს, დაზიანებულს ხილს ქვეშ ალაგებენ და მყიდველთა შეუნიშნავათ, ათასში ერთს წონაში აპარებდენ“. მართალია ბავშვები ცხოვრებაში ამაზედ უარესს უზნეო სცენებსაც ჰხედავენ, მაგრამ კრიტიკულის თვალით გარჩევა რომელისამე საქციელისა ბავშვს არ შეუძლიან, ამიტომ გონიერმა აღმზრდელმა ამისთანა სცენებს უნდა ააშოროს ბავშვები. ბავშვებისათვის საკითხავი მოთხრობებიც მოკლებული უნდა იყოს უზნეო სცენებს. ბავშვს უნდა უჩვენო, რაც კარგია, და მოარიდო ყველაფერს, რასაც-კი შეუძლიან ზნეობრივად ცუდად იმოქმედოს. ჩვენი პატივცემული მწერალი-ქალი ჰხმარობს სიტყვას „აპელსინს“, რომელსაც იმერეთში და მთელს დასავლეთ საქართველოში ფორთოხალს ეძახიან. მგონია ეს უკანასკნელი სჯობდეს. ზოგიერთი სიტყვები, მაგალითად „ნუგბარი“, ყველა ბავშვს არ ესმის.

გაუგებარი სიტყვები უფრო ბევრია მეორე წერილში „ობობა“, რომელიც ეკუთვნის ახალგაზდა მწერალს თ. რაზიკაშვილს: მაგ. „ყურმელა“, „კაჩებზე“, „გაგლინდა“ „მაზა“ და სხ. ეს სიტყვები ჩვენის სამშობლოს ყველა კუთხეში არ იხმარება, ამიტომ კარგს ინებებდა „ჯეჯილის“ რედაქცია ყველგან არ-ხმარებულს და ძნელად გასაგებს სიტყვებს სტრიქონებში და ან სხოლიოში განმარტავდეს, რომ ბავშვს მიეცეს შეძლება, უფროსების დაუხმარებლად, წერილის წაკითხვისა და გაგებისა. „ობობა“-თი ბავშვები გაიცნობენ საზოგადოდ ობობის ცხოვრებას, იმისს მოსისხლეობას. დედააზრი ამ მოთხრობისა ის არის, რომ ფეიქარა, მოსისხლე ობობა მისივე მეზობლის შავი ობობასაგან იღუპება, ბოროტება ისჯება. ამგვარს მოთხრობებს, იმისდა მიუხედავად, რომ შიგ მკვლელობაა აწერილი, იშვიათად არ შეხვდებით საბავშვო მწერლობაში.

შემდეგ „ჯეჯილში“ ვკითხულობთ ვრცელს წერილს წმიდა ნინოს შესახებ, მდაბიურად და დვილად გასაგების ენით დაწერილს ჩვენის პედაგოგის ბ-ნის გ. წყალტუბელის მიერ. წერილს წინ უძღვის წმიდა ნინოს სურათი და სიამოვნებით წაიკითხვენ როგორც პატარები, ისე დიდებიც. არ ვიცით მხოლოდ პატივცემული პედაგოგი ნინოს მამას რად უწოდებს სახელად საბულონს, ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში და ხაბინინის „საქართველოს სამოთხე“-შიაც წმიდა ნინოს მამას ზაბულონს ეძახიან. იქნება ეს სახელები ერთი და იგივეც იყოს, მაგრამ ბავშვებისათვის-კი არ იქნება კარგი ერთისა და იმავე კაცის სახელის არევა.

წმიდა ნინოს მოთხრობას მოსდევს მოთხრობა „შობის ხე“. ეს მოთხრობა ვითომ ორიგინალობს, მაგრამ ჩვენ გვგონია უფრო გადმოკეთებული უნდა იყოს სხვა ხალხის ცხოვრებიდგან. ჩვენში შობის ხეების გამართვა ამ ცოტა ხანში შემოიღეს და ისიც მხოლოდ ქალაქად, სოფლად კი იშვიათია. ამის გამო ის სურათი, რომელსაც წერილის ავტორი აგვიწერს გლეხის დარბაზში (ჩვენში დარბაზებიც ჰქონიათ გლეხებს), ჩვენებურ გლეხის ცხოვრებას ჯერჯერობით დაშორებულია. სხვა ფრივ წერილს არა უშავს რა.

„ჯეჯილი“-ს პატარა მკითხველებს ბოტანიკიდან ცნობებს აწვდის ბ-ნი ალნიაშვილი. ამ ნომერში ბ-ნი ალნიაშვილი აცნობს ბავშვებს ორს მცენარეს. ერთს უწოდებს სახელად „ხელიფაფას“ (Timosa), მეორეს „გამარჯობა“-ს (gueribar). აზრი კეთილი და პატიოსანია, მაგრამ ჩვენ გვგონია ნაკლებ სასარგებლო არ იქნებოდა, რომ ბ-ნს ალნიაშვილს ესწავლებინა პატარა ბავშვებისათვის ჯერ ადგილობრივი მცენარეები და შემდეგ ემოგზაურა ამერიკასა და მადაგასკარის კუნძულზედ. ამას გარდა, ბ-ნი ალნიაშვილი „ხელიფაფა“ მცენარის შესახებ ეუბნება ბავშვებს: „ამ მცენარეს გრძნობა აქვს ისეთივე, როგორც ცხოველებს აქვთო“, მაგრამ იქვე დასძენს- „უკაცრავად, იქნება ეს არც ისეთი გრძნობა იყოს, როგორც ცხოველებს აქვთ. ეს არც ჩვენ ვიცით და არც მეცნიერებამაო“. არ ვიცით, ბ-ნმა ალნიაშვილმა იცის თუ არა, მაგრამ რაც შეეხება მეცნიერებას, ტყუილ ბრალსა სდებს. „ხელიფაფას“ ანუ მიმოზას ჯურის მცენარეთა განსაკუთრებულ თვისებას მეცნიერება მცენარეთა ძილს უწოდებს: „всѣ феномены этого рода Линней обозначилъ общимъ именемъ сна ростеній“ (იხ. „მცენარეთა ცხოვრება ლუი ფიგიესი“, გვ. 97). ამას ეთანხმება დეკანდოლიც და ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი დოგელი, რომელსაც ერთს თავისს წიგნაკში კარგად აქვს განმარტებული ეს საგანი. ამისდა მიუხედავად ბ-ნ ალნიაშვილის წერილებს სიამოვნებითა და სასარგებლოდ წაიკითხავენ ბავშვები.

ზემოდ ვთქვით, რომ ჩვენებური ოჯახი ბავშვების კანონიერად აღზრდის ცოდნას მოკლებულიაო. ამ საქმეში პატივცემული „ჯეჯილის“ რედაქცია დიდს დახმარებას აღმოუჩენდა ჩვენებურ ოჯახებს, რომ „ჯეჯილის“ დამატებად ებეჭდა პედაგოგიური წერილებიც. ამას, რასაკვირველია, ხარჯი უნდა და რედაქციამ რა ჰქმნას, თუ ამ მხრივაც ჩვენი საზოგადოება დახმარებას არ აღმოუჩენს ჟურნალის დაკვეთით მაინც.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოდ ამ წლის „ჯეჯილის“ პირველი ნომერი რიგიანად არის შედგენილი. შემდეგში, თუ ენის სიფაქიზესაც მიაქცევენ ყურადღებას, ბლომა კორრექტურულს შეცდომებსაც აიცილებენ თავიდგან და მასალაც ისე ხელოვნურად და დროს შესაფერისად იქმნა დალაგებული, როგორც პირველ ნომერშია, სრული იმედია, რომ „ჯეჯილი“ სასურველს სამსახურს გაუწევს ჩვენს მოზარდს თაობას.

ლ. ბოცვაძე

## ნაკვესი

სასტუმროში.

— ეს რა რენტგენისებური შემწვარი მოგიტანიათ?

— როგორ რენტგენისებური, ბატონო?

— ისე, რომ მარტო ძვალი სჩანს და ხორცს კი არსად ვხედავ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ზოლას საქმის გარჩევამ მრავალი საოხუნჯო წერილები და დაცინვა გამოიწვია. ჟურნალ „Secolo XiX“ დაბეჭდილია შემდეგი საოხუნჯო სცენა.

თავმჯდომარე. (ბოქაულს) შემოიყვანეთ მოწმე, მაგრამ-კი ნუ აჩქარდებით.

(შემოდის შემკრთალი მოწმე)

თავმჯდომარე. (მრისხანედ). დაიფიცეთ: ვფიცავ აღვიარო ყოველი სიმართლე!

მოწმე. ვფიცავ, არა თუ მხოლოდ სიმართლე აღვიარო, არამედ დავფარო კიდეც, ვინაიდგან შემიძლიან...

(ისმის მოწონების ხმა. ზოგი ამბობს: აი ნამდვილი მამულიშვილი!)

თავმჯდომარე. დიაღ, თქვენ მოგიწვიეს აქ იმისათვის, რომ არაფერი სთქვათ...

ლაბორი. მე მსურს, რომ მოწმეს ჩამაართვათ ჩვენება შესახებ...

თავმჯდომარე. თქვენ მეტად გაკადნიერდით. ეგ საქმეს არ ეხება და მაგაზედ ლაპარაკი მეტია...

ზოლა. ჩვენ აქ იმისათვისა ვართ, რომ საქმეს სინათლე მოვფინოთ...

თავმჯდომარე. ეგ სასამართლოს არ შეეხება. მომითმინეთ, რომ მოწმეს ჩვენება ჩამოვართვა. (მოწმეს) რა გაქვთ სათქმელი?...

მოწმე. არ ვიცი...

თავმჯდომარე. ძლიერ კარგი. კიდევ რას დაუმატებთ?

მოწმე. მე ვიცი, რომ როდესაც დრ...

თავმჯდომარე. კმარა, ეგ საქმეს აღარ შეეხება. აქ მხოლოდ ზოლას წერილზეა ლაპარაკი.

მოწმე. მე ეგ წერილი არ წამიკითხავს.

თავმჯდომარე. მაინც რა აზრისა ხართ ამ წერილზე?

მოწმე გამიგონია, რომ პოლკოვნიკი პიკა...

თავმჯდომარე. პოლკოვნიკი პიკარი აქ არაფერ შუაშია. მე წერილზე გკითხავთ.

ლაბორი. კარგი. მაგრამ იმ წერილში ხომ დრეიფუსის საქმეზეა ლაპარაკი.

თავმჯდომარე. ეგ ჩვენ არ შეგვეხება. ჩვენ უფლება არა გვაქვს სხვის საქმეში გავერიოთ. დაიცადეთ მოწმეს. (მოწმეს) განაგრძეთ.

მოწმე. სხვა აღარაფერი მაქვს სათქმელი.

ლაბორი. გვითხარით, რა იცით პირბადე ჩამოფარებულ ქალის შესახებ.

თავმჯდომარე. ეგ საქმეს არ შეეხება. პირ-ბარე ჩამოფარებული რომელია? აქ ყველაფერს უნდა ავხადოთ პირ-ბადე. ეგ შეურაცხ-ყოფაა სასამართლოსი!

ლაბორი. იმ ქალის ბინა მაინც გავიგოთ.

თავმჯდომარე. არ მესმის, რას ამბობთ. მე ცოლ-შვილის პატრონი ვარ და არ შემფერის აქ პირ-ბადე ჩამოფარებულ ქალებზე საუბარის მოსმენა. (მოწმეს) ერთი სიტყვაც: წერილები რამ გაქვთ, თუ არა?

მოწმე. არა... მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა. ამ დღეებში მომივიდა წერილი დიჟონიდგან. ბიძაჩემი მწერს, რომ... მაგრამ არ ვიცი, შეიძლება აქ თუ არა ამ წერილზე ლაპარაკი.

თავმჯდომარე. ბრძანეთ. სრული თავისუფლება გაქვთ, რაც გენებოთ, ბძანეთ. ჩვენ აქ იმიტომა ვართ, რომ სრული სიმართლე გავიგოთ.

მოწმე. ბიძა ჩემი მწერს, რომ სამი ქილა მდოგვი გამომიგზავნე და ექვსი ყუთი სტეარინის სანთელი.

თავმჯდომარე. ექვსი ყუთი სანთელი? სწორედ ექვსი! (მდივანს). ჩასწერეთ პროტოკოლში. კიდევ იტყვიან, რომ სიმართლის გამოაშკარავება არ გვინდა! (მოწმეს დაითხოვენ).

გაზეთ „figaro“-ში კიდევ შემდეგი სცენაა დაბეჭდილი.

პირველი მოწმე (მეორეზე) ეს ბატონი სტყუის.

მეორე მოწმე. ეს ბატონი თითონა სტყუის.

თავმჯდომარე. ჩინებულია!

პირველი. პატიოსანს სიტყვას გაძლევთ, რომ მე კი არა, ეგ ბატონი სტყუის. (აღელვებაა)

მეორე. მე დაგიმტკიცებთ, რომ მე არა ვსტყუი. ორს პატიოსანს სიტყვას გაძლევთ, რომ ეგ ბატონი სტყუის (დიდი აღელვებაა).

თავმჯდომარე. (იქით) ვნახოთ ეხლა როგორ გამართლდება პირველი მოწმე.

პირველი მოწმე. ორი პატიოსანი სიტყვაო? მაგ კაცს, მგონია, ჩემი დაშინება უნდა. მე სამს პატიოსანს სიტყვას გაძლევთ (მეტად დიდი აღელვებაა).

პირველი მოწმე. მაშ ეგრე? მე ოთხს პატიოსანს სიტყვას გაძლევთ.

მეორე (გაჯავრებული) ექვსი!

პირველი. შვიდი!

მეორე. რვა! (სასამართლოში წარმოუდგენელი აღელვებაა).

თავმჯდომარე. (დაბნეულად) მეტს არავინ იძლევა? ერთი... ორი...

პირველი. ცხრა!

მეორე. ათი!

პირველი. (აღელვებით) თხუთმეტი!

მეორე. ოც-და-ერთი!

(ვაჭრობას განაგრძობენ).

## ავად-სახსენებელი ცალ-თვალა სალამი.

(წერილი საინგილოდგან)

ავაზაკი სალამი გარდაიცვალა. ასეა ბუნების წესი. ვისაც და რასაც დასაბამი აქვს, იმას დასასრულიც ექმნება. მაგრამ ვაი იმ სიკვდილს, რა სიკვდილითაც სალამი მოკვდა. მართალია, კვდართა ზედა ავის თქმა არ არის მართებული, მაგრამ რას იზამ, რომ გულ-დამწვარი ერი კახის საბოქაულოსი მოთმინებიდგან გამოსული, ვერ სძლებს. სალამმა მრავალი ბოროტება ჩაიდინა და არა სცხრებოდა. მოჰკლა რვა კაცი, რომელთაც ოდესლაც გაეჯავრებინათ

იგი. ოთხი კაცი თავისს სოფელში მოჰკლა. ეწყინა, ქურდს ქურდობას რად მაბრალებთო: გავარდა ავაზაკად და დაიწყო ონავარობა სოფლებში. სიცოცხლეზედ ხელ-აღებულმა ხან ერთს მოსტაცა საქონელი, ხან მეორეს, ხან ერთს შეუვარდა სახლში და ნამუსი აჰხადა ჯალაბობას, ხან მეორეს, ხან ერთს მოსთხოვა სახარჯოდ ფული, ხან მეორეს. ხალხი მეტად შეზეზრდა. შესწუხდა ადმინისტრაციაც. მოინდომეს მისი დაჭერა. ორგან, სამგან კიდეც მოასწრეს სახლში ჯაშუშების შემწეობით, მაგრამ არ იქნა ცალ-თვალა სალამი ვერც დაიჭირეს, ვერც მოჰკლეს. იმან უფრო გაიმარჯვა. ჯაშუშები ყველანი დაჰხოცა და მათი ცოლშვილი დააწიოკა.

სოფელ იბახლოდგან მთლად ოჯახიანად აიყარა მაამმად-უზბაში და კახში გაიქცა იმის შიშით, რადგან მან მიიწვია სალამი თავისს ოჯახში და დაჭერა მოინდომა მისი. კარები გარედგან ჩაუკეტა მძინარეს და შეატყობინა კახში პოლიციას. შემოადგა ბოქაული ჩაფრებით სახლის გარშემო. გამოეღვიძა ცალთვალა სალამს: ჰკრა თოფის ტყვია კარების კოჰაკს, ჩამოამტვრია, გამოვარდა გარეთ, დასჭრა ერთი იბახლოელი კანჰში, წააქცია ისიც, რომელმაც ხელი სტაცა და ვაჟკაცურად გაიქცა. შეწუხდა ადმინისტრაცია. დაიჭირეს სალამის ძმა, დები, სიძეები და ნათესავები: „ან სალამი დაგვიჭირეთ და ხელთ მიეცით სამართალსაო, ან არა-და, თქვენ ყველანი ციმბირს იქნებით გაგზავნილნიო“. შესწუხდნენ და დანაღვლიანდნენ ნათესავები. ისინი უკვე იქმნენ დატუსაღებულნი და გაგზავნილნი საპატიმროში. მაშინ სხვა ნათესავებმა თავი გამოიდეს პოლიციის წინაშე: ან მოვკლავთ სალამს, ან დავიჭერთ და გადმოგცემთო, მხოლოდ დრო მოგვეცით დაპირების ასრულებლადაო.

უდარაჯეს უბედურს ავაზაკს, რომელსაც უკანასკნელად ერთ თათრის დედაკაცისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა, აქ ძალიან ეცემათ, მაგრამ არ მოეკლათ. ამის შემდეგ ის გაქცეულიყო შირაქში, მოეტაცნა მარტოს 14 ცხენი, მემცხვარეები გამოსდგომოდნენ უკან: ათი ცხენი წაერთმიათ, ოთხი წაეყვანა სოფ. ბილაჯიგში, რომელიც ნუხის მაზრას ეკუთვნის და მდებარეობს ზაქათალის ოლქის მიჯნაზედ. აქ ცხენები სიძესთან მიეყვანა. სიძეს, გაჰხარებოდა, ახლა კი ხელში ჩამივარდაო. იმასაც დაჭერას უპირებდა პოლიცია, თუ არ ეცდებოდა სალამის შეპყრობას. ღამე კარგად გამასპინძლებია, მაგრამ როცა დაუძინია სიძის სახლში არხეინად, ცულის ყუით მიუფშვნეტია იმას სალამის ავაზაკური თავი, მერე დაუდვია ურემზედ და გადაუგდია მინდორში პერანგისა და იმის ამხანაგის ამარად.

ასე მოკვდა ავაზაკი სალამი. რვა დღის თავზედ დაასაფლავეს. ხალხმა უკან გააყოლა იმისს სამარეს წყევა-კრულვა, ხოლო მამ სინანული, რომ ამა მოუკლეს პირუტყვსავით და არა ვაჟკაცურად.

ინდიკო ჯანაშვილი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 მარტი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც სახელმწიფო ბანკი სამუდამოდ შეტანილ ფულზედ 4% მაგიერ $3\frac{1}{2}$% გადიხდის.

**ქაირი.** ოსმან-დიგმის ძმა ალიგუა თავს დაეცა ადრამუს, ატბარისთან, რომელიც მდებარეობს კასალოსა და ბერმერს შუა ნახევარ დღის სავალზედ, მაგრამ ადგილობრივმა ჯარმა სამჯერ უკუ აქცია.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. კერზონმა განაცხადა, დიაღ, მართალია, რომ 1881 წლის თებერვალში ბისმარკმა თითონ მოიწადინა—რომ შესაფერ პირობათა მიხედვით, კრიტი საბერძნეთს ეკუთვნოდეს და ბრიტანიის მთავრობა დასთანხმდა ამაზეო.

**ბერლინი.** ჩინეთის სესხისათვის გერმანიაში ფულის შეგროვება დამთავრდა. ხელის მოწერით შეგროვილი ფული გაცილებით უმეტესია დასახელებულ რაოდენობაზე.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭომ 8 მაისს დანიშნა პალატის არჩევანები და გადასწყვიტა თვით პალატას მიეცეს უფლება დანიშნოს დრო პალატის დათხოვნისა.

განოტომ სთქვა, რომ საფრანგეთსა, ინგლისსა და რუსეთს შორის მორიგება მოხდა შესახებ საბერძნეთის სესხისა. განოტოს უფლება მიეცა მიეხმაროს უკანასკნელ მოთანხმებას, ხოლო იმ პიტობით-კი, რომ პარლამენტიც დათანხმდეს ამაზე.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო აცხადებს, რომ ესპანიის ელჩმა მადრიდში დეპეშა გამოგზავნა. კომისიამ გადასწყვიტა—გემი „მენ“ გარედგან ყოფილა აფეთქებულიო.

პეტერბურგის ბირჟა, 10 მარტი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | „ — | — „ | 218¼ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 99¾ | — „ | „ — |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 101½ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 284¼ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 250¼ |

### წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებ ქ-ნ ნატალია დიმ. ხუნდაძისას, რომელმაც შეკრიბა ფული კიევის ქართველ სტუდენტთა ერთის ნაწილის სასარგებლოდ. აგრეთვე დიდ მადლობას ვუძღვნით იმათ, რომელთაც არ დაიშურეს თავისი წვლილი ამ საქმისათვის. შემომწირველნი არიან: უცნობი—3 მ., უცნობივე—1 მ., ვასილ ხუნდაძე და იოსებ გოგიტიძე—5 მ., სილიბისტრო ხუნდაძე, ევტიხი მამინაიშვილი, თ. ნ. თავდგირიძე და ექვთიმე ბერძენიშვილი—2 მან., ლავრენტი წულაძე, ეპიფანე შენგელია, ანდრია ივანოვი, ესტატე ანთაძე, ბაგრატ უღენტი, ივანე თიკანაძე, ჯაყელი, მღ. არსენ თოხაძე, ივანე კაციტაძე, ბესარიონ კალანდაძე, პლატონ ბერიძე, გრიგოლ ჯაყელი, ანტონ მუჯირი, თ. სვიმონ გუგუნავა, კატო გურიელი, იაგორ ჭელიძე, დიომიდე ვერულაშვილი, გიორგი მარგალიტაძე და ალექსანდრე ხვარბალაძე—1.

ამხანაგობის მონდობილობით ვასილ თუმანიშვილი

# განცხადებანი

ე. ფ. აუფერმანის

## მანქანათა საწყობი



ტფილისში

აცხადებს, რომ ბერლინის გ. ფ. ეკკერტის ქარხნისა და ოდესის ი. ი. გენის ქარხნის ფოლადის გუთნები ამ სეზონში გაიყიდება

ქალაქ სიღნაღში

ამირან სერგეის ძე შავერდოვთან შავერდოვის ქარვასლაში, ზემო ბაზარში. (10—39—8)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 17 **მარტს, დღის 1 საათზედ გამგეობის დარბაზში საჯარო ვაჭრობაა დანიშნული იმ დუქნებისა და სარდაფების** იჯარით გასაცემად, რომლებიც გოლოვინის პროსპექტზეა (მიოევისეული სახლი). დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში მუდამ დღე, უქმე დღეებს გარდა, დღის 12 საათიდგან 2 საათამდის. (3—6.—2).

## ისყიდება

**ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათები აბრეშუმზა, ფარჩასა და ატლასზედ** გადაღებული, აგრეთვე თამარის სურათი სხვა-და-სხვაგვარად გადაღებული ფანჯრის ფარდებისა, შირმებისა და ბალიშებისათვის, ღირს 2—3 მანეთამდე, ლამპრის საფარებელი—2—3 მან., აბრეშუმის ხელსახოცები—60—80 კ., დიუჟინობით ნაკლებ, წიგნში ჩასადები ლენტები ღირს 30—50 კაპ., აგრეთვე ლენტები პორტფელისათვის 50 კაპ. მსურველთ შეუძლიათ იყიდონ ეს ამ მოწოდებული ტფილისის სემინარიის ქუჩა, სახლ ხერხეულიძისა № 13, ა. რადონონისაგან. (5—6.—2)

# ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი. (წ.)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები: საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა საღარაძისა . . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | › |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | › | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |


29-й годъ изданія **ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ 1898 г.**

# НИВА

**выходящій еженедѣльно, со многими безплатными приложеніями.**

**Гг. подписчики „НИВЫ“ получатъ въ теченіе 1898 года:**

**52 №№** художественно-литературнаго Журнала „НИВА“, заключающаго въ себѣ въ теченіе года около 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунковъ.

## ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ И. С. ТУРГЕНЕВА

которое явится ПЕРВЫМЪ по полнотѣ содержанія, такъ какъ въ него войдутъ »Стихотворенія« Тургенева, не помѣщенныя въ прежнихъ изданіяхъ. Полное собраніе сочиненій Тургенева будетъ приложено къ «Нивѣ» въ теченіе **однаго 1898 года** въ 12 томахъ, отпечатанныхъ на хорошо глазированной бумагѣ, еще болѣе четко, чѣмъ приложенія предыдущихъ лѣтъ, съ приложеніемъ автографа и портрета И. С. Тургенева, и будетъ выходить подъ заглавіемъ «**Сборника Нивы**», по одному тому въ началѣ каждаго мѣсяца. Содержаніе отдѣльныхъ томовъ слѣдующее:

ТОМЪ I Портретъ и факсимиле И. С. Тургенева. Предисловіе. біографія И. С. тургенева. Записки охотника. ТОМЪ II. Отцы и дѣти. Накануне. ТОМЪ III. Дымъ. Дворянское гнѣздо. ТОМЪ IV. Новь. Рудинъ. ТОМЪ V. Андрей Колосовъ. Бреттеръ. Три портрета. Жидъ. Пѣтушковъ. Дневникъ лишняго человѣка. Три встрѣчи. Муму. Постоялый дворъ. ТОМЪ VI. Два пріятеля. Затишье. Переписка. Яковъ Пасынковъ. Фаустъ. Поѣздка въ Полѣсье. Ася. ТОМЪ VII. Первая любовь. Призраки. Довольно. Собака. Исторія лейтенанта Ергунова. Бригадиръ. Несчастная. Странная исторія. степной Король Лиръ. ТОМЪ VIII Вешнія воды. Стукъ... стукъ... стукъ! Пунинъ и Бабуринъ. Часы. Сонъ. Разсказъ отца Алексѣя. Отрывки изъ воспоминаній. Пѣснь торжествующей любви. ТОМЪ IX. Клара миличъ. Стихотворенія въ прозѣ. Стихотворенія. ТОМЪ X Вмѣсто предисловія. Неосторожность. Безденежье. Гдѣ тонко, тамъ и рвется. Нахлѣбникъ. Холостякъ. ТОМЪ XI. Завтракъ у предводителя. Мѣсяцъ въ деревнѣ. Провинціалка. Разговоръ на большой дорогѣ. Вечеръ въ Соррентѣ. ТОМЪ XII. Литературныя и житейскія воспоминанія. Критическія статьи и рѣчи. Некрологи, письма. Переводы Хронологическій и алфавитный указатели.

Соч. Тургенева могутъ быть пріобрѣтены въ видѣ безплатнаго приложенія только въ теченіе 1898 г. и отдѣльно отъ „Нивы“ не продаются.

**12 КНИГЪ** „ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТУРНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ“ которыя будутъ выходить при „НИВѢ“ въ серединѣ каждаго мѣсяца и содержать въ себѣ романы, повѣсти, разсказы и проч. современныхъ авторовъ.

**12 №№** „ПАРИЖСКИХЪ МОДЪ“, выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ,

**12 ЛИСТОВЪ** рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ (около 300) и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

**„СТЕННОЙ КАЛЕНДАРЬ“** на 1898 г., печатанный красками.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годовое изданіе со всѣми вышеозначенными приложеніями: Безъ доставки въ СПБ. 5 р. 50 к. Съ доставкою въ СПБ. 6 р. 50 к. безъ доставки въ москвѣ (въ конт. Н. Н. Пэчковской) 6 р. 25 к. Съ пересылкою во всѣ города и мѣстности Росіи 7 р. за границу 10 р.

Требованія просятъ адресовать: въ С.-Петербургѣ въ главную контору журнала „НИВА“ (А. Ф. МАРКСУ), малая морская, д. № 22. (5—у.—4)


Дозволено цензурою, Тифлисъ 11-го Марта 1898 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.